ოქმი:ო135. 13525071001
თარიღი:12/03/2025

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-2

დ. მესტია 28.02. 2025წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, გ. დადვანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ფალიანი, თ. დადეშქელიანი, ი. გირგვლიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. ხორგუანი, შ. ცინდელიანი, შ. რატიანი, შ. გულედანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> მ .გელოვანი.

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> ა. რატიანი. გ. გელოვანი, ზ. ხარძიანი, ზ. ჯაფარიძე, ვ, ფილფანი. ი. რატიანი, ლ. პაკელიანი, მ.რატიანი, მ. პაკელიანი, ლ. ქალდანი. მ. გოშუანი.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ს. კვიციანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ი. ღვაჩლიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლ. გულედანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის განყოფილების უფროსი ნ. მაღედანი;

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მოვალეობის შემსრულებელი ზ. ჩართოლანი.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 32 წევრიდან 19 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი: ს.კვიციანი; თანამომხსენებელი: რ.გვარმიანი./

2. ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ”.

/მომხსენებელი: ს.ჩხვიმიანი; თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

3. ,,შპს მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ”.

/მომხსენებელი: დ. ბარლიანი; თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

4. ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცების შესახებ”.

/მომხსენებელი: ბ.ნაკანი./

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (შენობების) საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე”.

/მომხსენებელი: ლ.გულედანი; თანამომხსენებელი: ბ.ნაკანი./

6. ,,მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ”.

/მომხსენებელი: ლ.გულედანი. თანამომხსენებელი ზ.ფალიანი./

7. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის N-42 დადგენილებაში ცვლილლებების შეტანის თაობაზე“.

/მომხსენებელი: ნ. მაღედანი. თანამომხსენებელი ზ.ფალიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------19

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებრვლის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № g-135. 135250631**თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **საქართველოს მთავრობის 24.12.2024 წლის №1955 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 7 303 044 ლარი. რაც მოხმარდება ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზების რეაბილიტაციას. აგრეთვე საქართველოს მთავრობის 24.01.2025 წლის №146 განკარგულებით ადგილობრივ ბიუჯეტში აისახა მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის 2 185 586.26 ლარი. კაპიტალური ტრანსფერის მუხლში მთავრობის განკარგულებით აისახა 1 574 000 ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის. ისაუბრა მუხლიდან მუხლში გადატანებზე.**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: შ. ცინდელიანმა--იკითხა სააქტო დარბაზის რეაბილიტაციისთვის თანხის გამოყოფაზე.

ს. კვიციანმა--არაფინანსურ აქტივებში ჩადებულია 60.0 ათ. ლარი.

რ. გვარმიანმა--კომისიამ განიხილა საკითხი, კოისიამ ხაზი გაუსვა ნაშთების არსებობაზე, კონკრეტულად ნაკრის ბაღისთვის არსებულ თანხაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინდა, მიღებული იქნას დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება № - 4 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. დევდერიანმა ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობას, ფინასური მხარდაჭერას, სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობას. ახალი ობიექტების მშენებლობის შემთხვევაში ყველა პროექტში გათვალისწინებულია პანდუსების მოწყობა და შშმპირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს: იფარის, ნაკრის და იდლიანის სკოლების, წვირმის, ბეჩოს, ბარშის და დ.მესტიის №2-ე საბავშვო ბაღების მშენებლობა დ.მესტიის №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, სოფელ ადიშის მრავალფუნქციური შენობის და ეცერის სპორტდარბაზის მშენებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა, შ. ცინდელიანმა -- აღნიშნე, რომ მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა, შშმ ბავშვების/პირების განვითარება, აბილიტაცია და მათ სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, შშმ პირების/ ბავშვების ოჯახებისთვის მხარდამჭერი სისტემის შექმნა და პრევენციული მექანიზმების გაძლიერება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № - გ-135. 135250591 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა დ. ბარლიანმა ,,შპს მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ".
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ,,მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება" არის მესტიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი, რომლის საქმიანობაც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, შპს-ს წესდებით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით. გაერთიანება ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წინაშე. ისაუბრა ამბულატორიის საქმიანობაზე, პრობლემებზე და მიღწევებზე. მოეწყო და ჩამოყალიბდა გადაუდებელი, ემერჯენსის ტიპის განყოფილება. დაკომპლექტდა ადგილობრივი და მოწვეული ემერჯენსში მომსახურების ლიცენზიის მქონე ექიმებით. ემერჯენსში ყველა პოზიციაზე არის 24/7 მორიგეობა.გაფართოვდა ლაბორატორიული კვლევები, რომლებიც ტარდება სრულად ავტომატიზებული 5D აპარატურით, შედეგების მიღება შესაძლებელია უმოკლეს ვადაში, როგორც მატერიალურიად, ასევე ელექტრონულად. მოპოვებულ იქნა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია. რის საფუძველზეც ამოქმედდა კომპიუტერული ტომოგრაფიის კაბინეტი. გარემონტდა სტაციონალური განყოფილება (პალატების, საოპერაციო, ინტენსიური, სამორიგეო), რემონტი ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის

დაფინანსებით. ისაუბრა პაციენტის მომსახურეობის დონეზე. კადრების მობილიზებაზე და დაკომპლექტებაზე. მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მმართველობას გვერდით დგომისთვის და დახმარებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა, ზ. ჩართოლანმა, რ. გვარმიანმა, ვ. ჭკადუამ. გ. დადვანმა.--მადლობა გადაუხადეს მოკლე ვადაში ჩატარებულ საქმიანობაზე, წარმატება უსურვეს, იკითხეს მოსახლეობაში სიახლეების გავრცელების საშუალებებზე.
თ. ცინდელიანი- არსებობს გავრცელების სხვადასხვა საშუალებები: ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს ჰყავს ოჯახის ექიმი; ელექტრონული საშუალებით.
ზ. ჩართოლანმა-აღნიშნა, რომ საინტერესო და სიახლეებით დატვირთული მოხსენება იყო. ბუკლეტების სახით დაიბეჭდოს პერიოდულად სიახლეები და მიეწოდოს მოსახლეობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,შპს მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № გ-135. 135250594 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ბ. ნაკანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიწის ფასს ყოველი წლის დასაწყისში ამტკიცებს საკრებულო არსებული თუ შეცვლილი ფასით.

მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცების შესახებ".

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № - **6** თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. გულედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობების) საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ

,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს'' შორის გაფორმდა უზუფრუქტის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს'' ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადმოეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართი, სადაც ფუნქციონირებს სოფლის ამბულატორია. აღნიშნულ უზუფრუქტის ხელშეკრულებას გადის მოქმედების ვადა, შესაბამისად საჭიროა ხელშეკრულების განახლება. რისთვისაც მიმართა მერიამ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანმა, შ. ცინდელიანმა, რ. გვარმიანმა - გამოთქვეს მოსაზრება ხელშეკრულების განახლებაზე და ვალდებულებების გამკაცრებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობების) საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე".

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № - გ-135. 135250592 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. გულედანმა ,,მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამსახური ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული საშუალო და გრძელვადიან გეგმებით. ინფრასტრუქტურის განვითარების დაგეგმვა ხდება ამ გეგმების მიზნების და პრიორიტეტების შესაბამისად. მესტიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, სამუშაოთა უპრეცედენტოდ მაღალი შესრულების გამო დაიგეგმა **16 571 484** ლარის სამუშაოების შესრულება. მშენებლობა რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 17 263 484 ლარი. შესრულებამ შეადგინა 104,8%. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა წინა წლებთან შედარებით, 2023 წელთან შედარებით104,7 %-მდე, ხოლო 2014 წელთან შედარებით 216%-მდე გაიზარდა. შესრულებულ სამუშაოთა უმეტესი ნაწილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. გზებისა და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაციაზე ნაცვლად 7 600 000 ლარისა შესრულდა 11 298 296 ლარის სამუშაოები.მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში, 2024 წელს სასმელი წყლის სისტემების მშენებლობასა და კეთილოწყობას მოხმარდა 991 508 ლარი. მათ შორის:

- ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 749 551 ლარი
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან 241 957 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, სოფლის საჭიროებიდან გამომდინარე შერჩეული პრიორიტეტების შესაბამისად დამტკიცებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა 107 მეწარმე

ფიზიკურ პირთან.
საქართველოს მთავრობის განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის გამოყოფილი 1 574 000 ლართან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 301 258 ლარი და სულ ჯამში შესრულდა 1 875 258 ლარის სამუშაოები. სამსახურის დებულებიდან გამომდინარე, ასევე „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების“ შესაბამისად, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხების რეგულირების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნა საბჭოს სხდომების ჩატარება. „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ **5 სხდომაზე** განხილულ იქნა 35 **საკითხი.**

მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომზადდა 60 ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, მშენებლობის ნებართვა გაიცა 16 ობიექტზე. უნდა აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა ხორციელდება, მესტიის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვის სამოქმედო გეგმისა და მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტების შესაბამისად, რის საფუძველზეც ყოველწლიურად დგება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია და პროგრამული ბიუჯეტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანმა--მადლობა გადაუხადა მომხსენებელს, საინტერესო და მოცულობითი ანგარიშის გამო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------17
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ”.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № - გ-135. 135250592 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხზე მოხსენება გააკეთა ნ. მღედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის N-42 დადგენილებაში ცვლილლებების შეტანის თაობაზე“.

აღნიშნა, რომ მექანიკური ხარვეზიდან გამომდინარე, საჭიროებს დადგენილების დამტკიცება შესწორებული ვარიანტით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------17
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის N-42 დადგენილებაში ცვლილლებების შეტანის თაობაზე“.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № -5 **თან ერთვის)**

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი